ხელშეკრულება №97-1

ქ. თბილისი 20 ივლისი, 2011 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში *„შემსყიდველი"*), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ჭანტურიას სახით,

და მეორე მხრივ, შპს "„იუ-ჯი-თი" (შემდგომში *„მიმწოდებელი"*), წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის ერმილე ხულაძის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლიცენზირებული ოპერაციული სისტემა windows 7-ის შესყიდვა (ოპერაციული სისტემები, კლასიფიკატორის №48620000). (შემდგომში „შესყიდვის ობიექტები")

1.2. შესყიდვის ობიექტების აღწერილობა და განფასება:

№	შესყიდვის ობიექტების აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	საერთო ფასი
1	windows 7 Professional 32 bit	8 ც	365.00	2920 ლ
				2920 ლ

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. *შემსყიდველს* ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტები, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. შესყიდვის ობიექტის შემოწმების ადგილია *შემსყიდველის* იურიდიული მისამართი.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ალექსანდრე დარჩია.

2.3. *მიმწოდებელი* ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული შესყიდვის ობიექტების შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ასევე ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ გაცნობილნი არიან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და მათი მონაწილეობა შესყიდვის განხორციელების პროცესში არ ეწინააღმდეგება აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. *მიმწოდებელმა* შესყიდვის ობიექტების *შემსყიდველისთვის* მიწოდება უნდა განახორციელოს 2011 წლის 22 აგვისტომდე.

3.2. შესყიდვის ობიექტები ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტების მიწოდების საბოლოო შემოწმების ადგილია *შემსყიდველის* იურიდიული მისამართი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების ღირებულება შეადგენს 2920 (ორი ათას ცხრაას ოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

4.2. 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.3. ანგარიშსწორება ხორციელდება *მიმწოდებლის* მიერ *შემსყიდველისთვის* შესყიდვის ობიექტების მიწოდებისა და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. *შემსყიდველი* კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დროულად და სრულად მოახდინოს *მიმწოდებელთან* ანგარიშსწორება.

5.2. *მიმწოდებელი* კისრულობს ვალდებულებას:

5.2.1. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს *შემსყიდველს* წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტები;

5.2.2. შესყიდვის ობიექტების ნაკლის აღმოჩენისას მოახდინოს ნაკლის გამოსწორება თავისი ხარჯით.

5.2.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს შემსყიდლისათვის სატელეფონო კონსულტაციების გაწევა;

5.2.4. გადასცეს *შემსყიდველს* უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტები.

5.2.5. უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დროულად და სრულად შესრულება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში *მიმწოდებელს* ეკისრება პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში *შემსყიდველს* ეკისრება პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული *შემსყიდველისა* და/ან *მიმწოდებლის* შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

მუხლი 9. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ზოგადი დებულებები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	შპს „იუ-ჯი-თი“
მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის №17-ა საინდენტიფიკაციო კოდი: 204 892 964
საბანკო რეკვიზიტები: სს „კორ-სტანდარტ ბანკი“ ანგ. #GE77KS0000000004169364 კოდი: AGREGE22	საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი ანგარიშის №GE88 BG00 0000 0261 6446 01 კოდი : BAGAGE22
გენერალური დირექტორი ..... გიოგი ჭანტურია	ფინანსური დირექტორი ..... ერმილე ხუდაძე

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 12 აგვისტო, 2011 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში *"შემსყიდველი"*), ადგილმდებარეობით ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ჭანტურიას სახით და

მეორე მხრივ, შპს "იუ-ჯი-თი" (შემდგომში *"მიმწოდებელი"*), წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის ერმილე სულაძის სახით

(შემდგომში – *"მხარეები"*)

წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე
მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2011 წლის 20 ივლისს გაფორმებულ №97-1 ხელშეკრულებაში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ:
   ა) ხელშეკრულების I-ლი მუხლის 1.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   "1.2. შესყიდვის ობიექტების აღწერილობა და განფასება:

№	შესყიდვის ობიექტების აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	საერთო ფასი
1	windows 7 professional 32 bit	3 ცალი	365,00	1 095 ლარი
2	windows 7 professional 64 bit	5 ცალი	365,00	1 825 ლარი
				სულ: 2 920 ლარი

   ბ) ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   "3.1. *მიმწოდებელმა* შესყიდვის ობიექტების *შემსყიდველისთვის* მიწოდება უნდა განახორციელოს 2011 წლის 31 აგვისტომდე."

   გ) ხელშეკრულების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   "მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
   ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით."

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის *მხარეთა* მიერ მისი ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2011 წლის 20 ივლისს გაფორმებული №97-1 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.
4. მხარეთა ხელმოწერები:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი"	შპს „იუ-ჯი-თი"
ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის №17-ა საინდენტიფიკაციო კოდი: 204 892 964
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი
---	---
გიორგი ჭანტურია	ერმილე სულაძე